



პროფესიული მომზადების/პროფესიული  
გადამზადების პროგრამის განხორციელების  
უფლების მიმნიჭებელი საბჭო

24/09/2024



MES 3 24 0001192379

## გადაწყვეტილება

**სსიპ - სიმონ სხირტლაძის სახელობის ქ. ონის საჯარო სკოლისთვის „კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

## საბჭომ გადაწყვიტა:

1. სსიპ - სიმონ სხირტლაძის სახელობის ქ. ონის საჯარო სკოლას (ს/კ: 237976981) მიენიჭოს უფლება განხორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა /02087/ (დანართი).
2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2024 წლის 24 სექტემბრის №1189405 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ბაბალაშვილი ნინო

ნ. გაბაშვილი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა

მ. ზაქარეიშვილი



პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
02087	კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა	პროფესიული მომზადება	მესამე	10	ქართული	15	ქ. ონი, მინდელის ქ. №1